

2022 წლის შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!

მვირფასო კოლეგებო!

როგორც მოგეხსენებათ, 2022 წლის 24-29 ივლისს თბილისში დაგეგმილია შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესის ჩატარება. საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზატორები არიან შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო ასოციაცია ((ICLA), შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA), ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

კონგრესში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობაა იყოთ შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციის ქართული ორგანიზაციის (GCLA) წევრი. გარდა ამისა, ქართული მხარე გეგმავს ოფიციალური წერილით მიმართოს შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციას, რათა ქართული ასოციაციის წევრებისათვის დაწესდეს შეღავათი მონაწილეობის გადასახადზე.

ქართველ მეცნიერებს, რომლებსაც სურვილი გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, გთხოვთ დარეგისტრირდეთ ასოციაციაში. მათ კი, ვინც უკვე არის შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაციის წევრი, გაიაქტიუროთ სტატუსი.

ამისათვის გთხოვთ:

ა) მოგვაწოდეთ მოკლე ინფორმაცია თქვენ შესახებ: **პოზიცია, აფილაცია, საკონტაქტო.**

ბ) ა.წ. 5 მაისამდე გადაიხადეთ მიმდინარე წლის წევრობის შესატანი 30 ლარის ოდენობით, ანგარიშზე:

აიპ კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია

ს/კ 204562847

ბანკი: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“ ც/ფ

GE80VT660000347003608

ბანკის კოდი UGEBGE22

შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) წევრთა მონაცემები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, აიტვირთება როგორც ასოციაციის, ისე მსოფლიო კონგრესის ოფიციალურ გვერდზე, ხოლო გადახდის ქვითრები გადაეგზავნება მსოფლიო ასოციაციის საფინანსო განყოფილებას, რაც საშუალებას მოგვცემს წარვუდგინოთ თქვენი სია კონგრესის საერთაშორისო კომიტეტს, ფინანსური შეღავათების დასაწესებლად.

პატივისცემით,

ასოციაციის პრეზიდენტი

პროფ. ირმა რატიანი